საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 04 (კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი **27 ივლისი, 2017 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახლმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 33-37-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის N68 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების თანდართული წესი **(დანართი 1).**
2. წინამდებარე გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესი ამოქმედდეს 2017 წლის 1 აგვისტოდან და ამავე თარიღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბერის N3 გადაწყვეტილება.
3. გადაწყვეტილებადაეგზავნოს ბსუ-სმართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, კანცელარიას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სხვა სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი,ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების
დანართი 1
კოდიფიცირებული
(ცვლილება და დამატება : ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 27 დეკემბრის N01;
2019 წლის 16 აგვისტოს N 07-01/24 ,
2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 და
2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/50 გადაწყვეტილებებით)

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი

მუხლი1.ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი (შემდეგში–„წესი“) შემუშავებულია „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ღია კონკურსით შერჩევა (სამსახურში მიღება), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობის, სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს და ითვალისწინებდეს მოქმედკანონმდებლობას, ბსუ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაცხადებულ მიზნებს და ამოცანებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესებს.

3. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობებია: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

4. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ. ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

5. კონკურსის შედეგად არჩეული უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობის პირის დატვირთვა და შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესით“.აღნიშნული წესის მიხედვით:

5.1. ბსუ-სთან აფილირებულად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელიც დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ ბსუ-ში(მათ შორის პირი, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა);

ბ) ბსუ-საკადემიური თანამდებობის პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით ბსუ-ს რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიიღო თანხმობა სხვა დაწესებულებაში შეთავსებითი სამუშაოს შესრულებისათვის (თუ ამით ხელი არ შეეშლება ამ პირის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებას).

5.2. ბსუ-სთან აფილირებულად ვერ ჩაითვლება პირი, რომელიც ამავდროულად დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში (სახელმწიფო უწყებაში, სასამართლოში და ან ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს 5-დღიან სამუშაო კვირას - ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 9 სთ-დან 18 სთ-მდე განრიგით).

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს“. წარდგინებაში უნდა მიეთითოს ბსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება, ის დარგობრივი დეპარტამენტი (მიმართულება/დარგი), რომლის საჭიროების გათვალისწინებით ცხადდება კონკურსი და კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების თარიღი.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება (რექტორის ბრძანებასთან ერთად) ქვეყნდება საკონკურსო განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში). განცხადებაში აღინიშნება: საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები.

4. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით ან/და ამ წესით განსაზღვრული ვადა იწურება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, მოქმედება შეიძლება შესრულდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

5. ამ წესით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების ადმინისტრაციული/ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც განესაზღვრება შესაბამისი უფლება-მოვალეობები.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები განისაზვრება წინამდებარე მუხლით, რომელშიც მითითებული სამეცნიერო აქტივობა განმარტებულია თანდართულ კლასიფიკატორში **(წინამდებარე წესის დანართი 1).**

2. **პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

2.1. 6 (ექვსი) წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს ან მიღებულია დასაბეჭდად თანდართული კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5 ან 3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.2 ან 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.2, 4.3, 4.4 ანბოლო 3 წლის განმავლობაში - 4.5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ სამეცნიერო აქტივობაში;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით მისი ხელმძღვანელობით სტუდენტს (ბაკალავრს, მაგისტრანტს, დოქტორანტს) გამოქვეყნებული აქვს თანდართული კლასიფიკატორის 2.3 პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო ნაშრომი;

ე) აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

ზ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

2.2. **უვადოდ შეიძლება აირჩეს** დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.1, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.1 ან 1.3 (ქარველოლოგიური დარგებისათვის) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.1 ან 4.2 პუნქტებით განსაზღვრულ სამეცნიერო აქტივობებში;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ე) აქვს სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ვ) მომზადებული აქვს შესაბამისი მიმართულებით სახელმძღვანელო;

ზ) თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.);

თ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

3. უვადოდ არჩეული პირი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

დ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

6. ასისტენტის თანამდებობაზე 3 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი.

7. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა განისაზღვრებაკონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემამდე, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3-ით მიღებული დადგენილებით.

8. უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე. კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და ინგლისურენოვანი პროგრამის დამთავრების შედეგად მიღებული ბაკალავრის/მაგისტრის/ერთსაფეხურიანი/დოქტორის დიპლომი). საჭიროების შემთხვევაში კანდიდატს ჩაუტარდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა. კანდიდატი, რომელიც არანაკლებ ორი სემესტრის განმავლობაში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ატარებდა ლექციებს ინგლისურ ენაზე, რექტორის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის N01 გადაწყვეტილებით);*

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია (განცხადება და ამ წესით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები), საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით,

წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის ან მიმართულების საპროცედურო კომისიას.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

3. პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორის თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა)პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიურიმუშაობის დამადასტურებელიდოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

დ) ამ წესით მოთხოვნილი ბოლო5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ე) დარგის სწავლებისადასამეცნიერო კვლევის კონცეფცია აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ასისტენტ-პროფესორმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ პირველ საფეხურზე);

ვ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების)კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4);

თ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისურენოვან პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში). *(შევიდა ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის N01 გადაწყვეტილებით);*

4. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა საპროცედურო კომისიას უნდა წარმოუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძვანელო/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია (იმ ენაზე, რომელენაზეც ტარდება ლექცია) და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები), ხოლო ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა - ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა.

5. **ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდეულია** წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში); *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 გადაწყვეტილებით);*

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

ე) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისურენოვან პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში). *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის N01 გადაწყვეტილებით);*

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საპროცედურო კომისის ასევე უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ **(განაცხადის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით)**; *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 გადაწყვეტილებით);*

ბ) კონკურსანტის ანკეტა (წინამდებარე წესის **დანართი №3** -ის მიხედვით შედგენილი).

გ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 გადაწყვეტილებით);*

7. კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც მატერიალური (ნაბეჭდი), ისე ელექტრონული სახით კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.

8. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ კონკურსანტის ანკეტა უნდა შეივსოს სრულად და უნდა დაერთოს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი/მასალა (აღნიშნული მასალა კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან ერთი თვის შემდეგ კონკურსში მონაწილეს უბრუნდება უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ).

9. განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებულია რექტორის ხელწერითა და უნივერსიტეტის ბეჭდით (ჟურნალის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით).

10. განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა სათანადო ცნობა, რომელშიც აღინიშნული იქნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და ვაკანტური თანამდებობის დასახელება, რომლის დაკავება სურს განმცხადებელს, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი (ცნობის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით). საპროცედურო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ადასტურებს ხელმოწერით.

11. საკონკურსო ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება (აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სარეგისტრაციო

ჟურნალში და საპროცედურო კომისია დაუყოვნებლივ წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს უნივერსიტეტის რექტორს).

მუხლი 5. საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება საპროცედურო კომისია არანაკლებ 2 წევრის (თავმჯდომარე და თანაშემწე) შემადგენლობით.

2. საპროცედურო კომისია პასუხისმგებელია საკონკურსო განაცხადებისა დასხვა საკონკურსო დოკუმენტაციის (ამ წესის დანართებით გათვალისწინებული განცხადებები/საჩივრები)მიღებასადარეგისტრაციაზე.

3. **საპროცედურო კომისია:**

ა) ამოწმებს დადგენილ ვადებში წარმოდგენილ საკონკურსო განცხადებასა და დოკუმენტაციას, კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტის და წინამდებარე წესის შესაბამისად და კონკურსანტს გადასცემს ამ წესით გათვალისწინებული ფორმის მიხედვით შედგენილცნობას;

ბ) საკონკურსო განცხადებების წარმოდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე/თანაშემწე) საკონკურსო დოკუმენტაციას გადასცემს საკონკურსო კომისიას და დარეგისტრირებული განცხადებების მიხედვით ამზადებს კონკურსანტთა სიას უნივერსიტეტის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მიზნით;

გ) კონკურსის გასაჩივრების ვადაში კონკურსანტის მიერ საჩივრის/განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში არეგისტრირებს მას სპეციალურ ჟურნალში და განხილვის მიზნით გადასცემს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას.

4. საკონკურსო კომისია (შემდეგში „საკონკურსო კომისია“) და სააპელაციო კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით. ამავე დადგენილებით განისაზღვრება კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

5. საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საკონკურსო მიმართულების კომპეტენტურისპეციალისტები. შესაძლებელია შეიქმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისი აფაკულტეტების ან მიმართულებების მიხედვით.

6. **საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრი არშეიძლება იყოს:**

ა) პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.

ბ) პირი, რომელიც კონკურსანტის ახლო ნათესავია .ასეთ შემთხვევაში კონკურსანტი უფლებამოსილია განაცხადოს აცილება (*„ახლო ნათესავში“ იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები).*

7. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი ტარდება მხოლოდ ასისტენტ პროფესორის ან ასისტენტის თანამდებობების დასაკავებლად, საკონკურსო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან/და დოქტორის ხარისხის მქონე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომლებიც ამავე კონკურსში არ მონაწილეობენ კონკურსანტის სტატუსით;

8. კომისიებმა საქმიანობა უნდა წარმართონ წინასწარ გამოყოფილ სამუშაო ოთახებში, რომელიც აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი ინვენტარით. კომისიების

მუშაობის პროცედურულ/ორგანიზაციულ/ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფი.

9. საპროცედურო/საკონკურსო/სააპელაციო კომისიის და ამ წესით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება შეიძლება განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული, ნებისმიერი კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგებისგამოქვეყნებამდე.

11. დაუშვებელია კომისიაზე ან მის რომელიმე წევრზე(წევრებზე) კონკურსანტის მიერ ან/და მათი სახელით, რაიმე სახის ანფორმის ზეწოლა კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. საკონკურსო კომისიის მიერ კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კომისიის იმ წევრს, რომელიც სრულად არის გაცნობილი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ მასალებსა და ინფორმაციას.

4. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას-სხდომაზე არჩეული თავმჯდომარე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

5. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარებასაჯაროდგამოქვეყნებას კომისიის მუშაობის ადგილზე).

6. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში.

7. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

8. კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

8.1. პირველ ეტაპზე:

ა) საპროცედურო კომისიისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს კონკურსანტთა მონაცემების შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას, წარმოდგენილ განცხადებებსა და საკონკურსო დოკუმენტაციას დალუქულ მდგომარეობაში;

ბ) დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციას გახსნის საკონკურსო კომისიის სხდომაზე;

გ) ამოწმებს კონკურსანტის განცხადებას, კონკურსანტის ანკეტას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს. კონკურსანტის მხრიდან არასწორი (ყალბი) მონაცემების წარმოდგენის ან კონკურსანტის მონაცემების კონკურსის ძირითად პირობებთან არათავსებადობისა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

დ) საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილ კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე, ამ წესით

გათვალისწინებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წინამდებარე წესის დანართი №4);

ე) კონკურსანტის შეფასების ფორმის პირველი კატეგორიის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ვ) კონკურსანტს აფასებს კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე, ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასებისფორმის მიხედვით მე-2 და მე-3 კატეგორიაში კონკურსანტი ფასება ,,მაღალი" ან ,,საშუალო" შეფასებით, ანიჭებს მას პრეტენდენტის სტატუსს და ადგენს მოკლე დასკვნას შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან კანდიდატის მონაცემების შესაბამისობის შესახებ (წარმოდგენილი მასალების გადამოწმების საფუძველზე).

ზ) იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატის მონაცემები შეესაბამება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ გამწესებისათვის განსაზღვრულ მთხოვნებს, „შეფასების ფორმის" დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს კომისიის დეტალური დასაბუთება ამ პრეტენდენტის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შესახებ.

თ) იმ შემთხვევაში, თუ ქართველოლოგიის მიმართულებით კანდიტატს წარმოდგენილი აქვს თანდართული კლასიფიკატორის 1.3 პუნქტის შესაბამისი თეზისი ან/და 2.3 პუნქტის შესაბამისი პუბლიკაცია, ,,შეფასების ფორმის" დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს კომისიის დეტალური დასაბუთება ამ პრეტენდენტის პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების შესახებ;

ი) პროფესორის ან/და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის შემთხვევაში, ,,შეფასების ფორმის" დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს კომისიის დასაბუთება კონკურსანტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების შედეგების შესახებ, ამ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ანალიზის საფუძველზე (კომისია უფლებამოსილია უფლებამოსილი პირისგან, დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია ან მოიწვიოს სხდომაზე, განმარტების მისაღებად);

კ) ყველა კონკურსანტთან დაკავშირებით შეფასების ფორმების შევსების შემდეგ კომისია ამტკიცებს იმ პირთა სიას, რომელთაც მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი დაიღებსგადაწყვეტილებას მათიგასაუბრებაზე მოწვევის შესახებ (გასაუბრებისთარიღის, დროის და ადგილის) მითითებით. ამავე საოქმო გადაწყვეტილებაში მიეთითება იმ პირთა შესახებ, რომელთაც არ მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი. აღნიშნულ ინფორმაციას კომისია აგზავნის შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

8.2. მეორე ეტაპზე:

ა) კონკურსანტებთან გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილდროს დაადგილზე. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, შეფასდეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მისი შემდგომი საქმიანობის სფეროსთან;

ბ) გასაუბრებაზე კონკურსანტის დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ,იმავე დღეს ჩაატაროს გასაუბრება;

გ) გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით. გასაუბრების მოკლემი მოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში;

დ) საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტების მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობების განხორციელების შესახებ, რომელიც გამოდგება პრეტენდენტების სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად;

ე) იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნულია ინგლისურენოვანი პროგრამების სასწავლო კურსების წარმართვის შესაძლებლობის შესახებ, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს ჩაუტაროს გასაუბრება ინგლისურ ენაზე ან/ დასაჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება;

ვ) საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, პრეტენდენტის თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება გასაუბრების მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე/საცდელი ლექციაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს;

ზ) საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისი აკონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაცა ისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების/საცდელი ლექციის ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების/საცდელი ლექციის შედეგებს);

თ) კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და კონკრეტულსაკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთ აუმრავლესობისა. ერთ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი. საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების (ორი ან მეტი ერთნაირი საკონკურსო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში) გამოვლენის მიზნით საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის მიმდინარეკონკურსში. ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა, კონკურსანტთა გამარჯვებულად გამოცხადების ანგამოცხადებაზე უარის თქმის შინაარსობრივი საფუძვლები და დასაბუთება;

ი) საკონკურსო კომისიის ფარული კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში, რომელიც მისი შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს გადაიგზავნება შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების მიზნით, ხოლო კანცელარიული წესით წარედგინება რექტორს, აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხის განხილვის მიზნით.

მუხლი 7. კონკურსის შედეგების დამტკიცება და გასაჩივრება

1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსანტს უფლება აქვს დარღვევიდან (საიდანაც აითვლება ვადა

)არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისაშეიტანოს განცხადება/საჩივარი საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

2. განცხადება/საჩივარი უნდაშეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი;

დ) დარღვევის შინაარსი;

ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ)განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის დამდასტურებელი მტკიცებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას (სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით) და სააპელაციო კომისიისათვის დროულად გადაცემას. განმცხადებელს საპროცედურო კომისია გადასცემს ცნობას (შედგენილი რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად), რომელშიც აღინიშნებაგანცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

5. სააპელაციო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3(სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი. სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმარტების მისაღებად სხდომაზე მოიწვიოს, შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია:

ა) საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საკონკურსი კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და დაუბრუნოს საკონკურსო კომისიას, ხელახლა განხილვის მიზნით;

ბ) საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

გ) საჩივარი დარჩეს განუხილველი, თუკი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან გასაჩივრების ვადის დარღვევით.

7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება კანცელარიის მეშვეობით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით და გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის წარდგენიდან 6 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განიხილავს კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხს.

9. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს ჩატარებული კონკურსის შედეგები (იმ შემთხვევაში, თუკი გამარჯვებული კანდიდატის მონაცემები შეესაბამება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ გამწესებისათვის განსაზღვრულ მთხოვნებს, ამ კანდიდატის ,,შეფასების ფორმის“ დასკვნით ნაწილში არის საკონკურსო კომისიის დეტალური დასაბუთება ამ პირის განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების

შესახებ, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში მიეთითება შესაბამისი კანდიდატის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ გამწესების თაობაზე);
ბ) არ დაამტკიცოს კონკურსის შედეგები და შესაბამისი დასაბუთებით, რაც უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს კანონდემბლობიდან და საუნივერსიტეტო აქტებიდან, საკითის განხილვის მიზნით, დაუბრუნოს იმავე საკონკურსო კომისიას.

10. აკადემიური საბჭოს დადგენილება კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებშეიძლება გასაჩივრდესბათუმის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. საკონკურსო მასალები კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ (აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში) შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას). კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაციიდან ნაწილი (უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები) ინახება დასაქმებულის პირად საქმეში, ხოლო სხვა დოკუმენტაცია დასაქმებულის მიერ შესაძლებელია გატანილი იქნეს 1 თვის შემდეგ. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/50 გადაწყვეტილებით)*

2. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების შესახებ სამართლებრივ აქტში მითითებული ვადებისა და ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“ გათვალისწინებით.

3. კონკურსის შედეგად გამარჯვებულის ვერ გამოვლენის/ვერ არჩევის ან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოუცხადებლობის ან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

4. კონკურსის წესით აკადემიური პერსონალის მიღების შემდეგ, სხვადასხვა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის ცვლილებების შემთხვევაში (გაუქმების/შემცირების, დამატების, საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ფაკულტეტზე გადატანის/განხორციელების, სტრუქტურული რეორგანიზაციის და სხვა), შესაძლებელია შესაბამისი აკადემიური თანამდებობის პირის თანხმობით, მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, რექტორის ბრძანების საფუძველზე, მისი გადაყვანა სხვა ფაკულტეტის შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე, სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადით, თუკი ამ პირის არჩევის დროისათვის ამ წესით დადგენილი მოთხოვნები და კვალიფიკაცია, შესაბამისობაშია რომელიმე სხვა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულ მოთხოვნებთან (ერთი და იმავე დარგის/მიმართულების/საშტატო ერთეულის შემთხვევაში).

5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ობიექტური გარემოების (ქვეყანაში/რეგიონში შექმნილი ეპიდვითარება ან/და სხვა) გათვალისწინებით შესაძლებელია დასაშვები გახდეს: *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/50 გადაწყვეტილებით)*

ა) **საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის** მხოლოდ ელექტრონულად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების

გაფორმებისთანავე (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ამ წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

ბ) კონკურსანტის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) საკონკურსო კომისიამ დაადგინოს მ**უშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.

დანართი 1

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობებით გათვალისწინებული სამეცნიერო აქტივობების (კლასიფიკატორი)

1. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და შესაბამისი კონფერენციის თეზისები:

1.1. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

1.2. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ;

1.3. ეროვნული ან საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის 1.1 და 1.2 ქვეპუნქტები;

1.4. სხვა კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის 1.1, 1.2. და 1.3. ქვეპუნქტები;

2. სამეცნიერო პუბლიკაცია/გამოგონება/პატენტი:

2.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის WebofScience-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

2.2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science ან Scopus ან Scimago Journal & Country Rank ან ERIH PLUS-ის (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებისათვის) ან Research Gate-ის მიერ; *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 აგვისტოს N07-01/24 გადაწყვეტილებით, ცვლილება ძალაში შევიდა 2019 წლის 02 აგვისტოდან).*

2.3. რეცენზირებული(Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიეროს ტატიები, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

2.4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის - რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

2.5. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულიატომსონროიტერისWeb of Science-ისანScopus-ისსაკონფერენციომასალების ციტირების ინდექსით;

2.6. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულიაGoogle Scholar-ში;

3. მონოგრაფია

3.1. მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათშორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ის მიერ;

3.2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონეPeer-reviewed) მონოგრაფია(მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;

3.3. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაცაქვთ ISSN ან ISBNკოდი.

4. სამეცნიერო გრანტი

4.1. დაფინანსებულ საერთაშორისო გრანტი;

4.2. შოთა რუსთაველისეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტი;

4.3. ბსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;

4.4. სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;

4.5. მაღალი შეფასების მქონე (მაქსიმალური შეფასები 80% და მეტი) სამეცნიერო გრანტის პროექტი;

დანართი N2 (ამოღებულია)

(შევიდა ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 27 დეკემბრის N01 გადაწყვეტილებით, ხოლო
ძალადაკარგულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/86 გადაწყვეტილებით

კონკურსანტის განცხადების ფორმა

ფაკულტეტის საკონკურსო კომისიას

.....

(სახელი,გვარი,მისამართი)

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) ----------
ფაკულტეტის----------

(მიუთითეთ მხოლოდ ერთი აკადემიური თანამდებობა)

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას (შემდეგში ,,აფილირების წესი“).

თანხმა ვარ ბსუ-ს ადმინისტრაციის მიერ დამუშავებული იქნეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია ბსუ-სთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის პერიოდში (მათ შორის აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე).

ხელმოწერა:.....

თარიღი:.....

დანართი №3

(შევიდა ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 27 დეკემბრის N01 გადაწყვეტილებით)

კონკურსანტის ანკეტა

ა) კონკურსანტის პირადი ინფორმაცია

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი (უვადო)	☐ პროფესორი (6 წლის ვადით)	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ-პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობი სსრულიდასა ხელება)					

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1. განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3. სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4. პედაგოგიური სტაჟი

6 წელზე მეტი☐	**6 წელზე ნაკლები☐**

აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

1.5. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/ დოკუმენტები(სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს მონაცემები 2017-2018 სასწავლო წლიდან)

დოკუმენტაცია კონკურსანტის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების შესახებ (გაცემული შესაბამისი უსდ-ს მიერ)

1.6. შეთავსებით მუშაობა/აფილირების პირობითი შეთანხმება) [1] (მონიშნეთ შესაბამისი ტექსტი და საჭიროების შემთხვევაში შეავსეთ ამავე ქვეპუნქტში მოცემული გრაფა).

☐ ვაცხადებ, რომ ვმუშაობ/ვაპირებ დავსაქმდე სხვა დაწესებულებაში (ხაზი გაუსვით შესაბამისი გარემოების მიხედვით), სადაც ჩემი სამუშაო დატვირთვა და განრიგი ხელს არ შემიშლის სრულად შევასრულო ბსუ-ში დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი აკადემიური დატვირთვა და ბსუ-სთან აფილირებული პირისათვის განსაზღვრული მოთხოვნები. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობას მივიჩნევ ჩემ ძირითად სამუშაოდ.

☐ ვაცხადებ, რომ ვმუშაობ/ვაპირებ დავსაქმდე (ხაზი გაუსვით შესაბამისი გარემოების მიხედვით) სხვა დაწესებულებაში, სადაც ჩემი სამუშაო დატვირთვა და განრიგი არ მომცეს საშუალებას ბსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობა მივიჩნიო ჩემს ძირითად სამუშაოდ. აქედან გამომდინარე, როგორც ბსუ-სთან არააფილირებულმა პირმა, შესაძლებელი იქნება შევასრულო მხოლოდ ,,გ" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა.

[1] *აღნიშნული გრაფა უნდა შეივსოს კონკურსანტის მიერ, რომელიც პარალელურად დასაქმებულია სხვაგან ან/და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სურვილი აქვს იმუშავოს სხვა დაწესებულებაშიც. კონკურსატმა უნდა მიუთითოს სამომავლოდ ბსუ-სთან მისი აფილირებისა და, ,ა" ან ,,გ" კატეგორიის აკადემიური დატვირთვის შესრულების შესაძლებლობის შესახებ.*

დაწესებულების დასახელება, სადაც მუშაობთ ან აპირებთ რომ დასაქმდეთ	დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობა/საშტატო ერთეული და შესასრულებელი სამუშაოს სახე (ფუნქცია)	სამუშაო დღეები და სამუშაო საათები	საერთო კვირეული და წლიური სავარაუდო აკადემიური დატვირთვა (ეს გრაფა ივსება მიწვეული მასწავლებლების ან აკადემიური პერსონალის შემთხვევაში)

1.7.ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი დანართის სახით მედიცინის მიმართულების კონკურსანტებისათვის, რომელიც შეიცავს:

- თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი;
- კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;
- კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებულ სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

2.1. პედაგოგიური გამოცდილება

	საერთო პედაგოგიური სტაჟი					
	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული კურსები	ლექცია	პრაქტიკული/ სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	წელი

N	კურსის დასახელება					
1						
2						
3						

2.2. სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)	
N	სახელმძღვანელოს/სალექციო კურსი/რიდერი/სასწავლო მასალები (არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ ელექტრონული სახით კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე)
1	
2	

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა

N	საგანმანათლებლო პროგრამა	ხელმძღვანელობის პერიოდი
1		
2		
3		

2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

N	**კურსის დასახელება**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**ლექცია**	**პრაქტიკული**	**ლაბორატორიული ისამუშაო**
1					

2					
3					

2.5. წარმოდგენილი სილაბუსები (წარმოადგინეთ დანართის სახით)

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობისფორმა		
			ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული ისამუშაო
1					
2					
3					

2.6. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

III. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

3.1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი არაუმეტეს 5 პუბლიკაცია კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით, კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნებისწელი

3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (არაუმეტეს 5) კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) დასხვ.)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნებისწელი

3.3. პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

3.4. კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	

	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

3.5. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

№	განხორციელებისწლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

3.6. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)

თანამშრომლობისფორმა	უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება	დაწყებისა და დასრულების თარიღი

3.7. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი (ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული) ნაშრომი (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.8. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი 2 (წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

(ჯილდო, სტიპენდია, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა)

№	აქტივობის დასახელება

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

.....

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

[2]სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენ ასავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის

დანართი №4.

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი (უვადო)	☐ პროფესორი (ვადიანი)	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*					

შ ე ფ ა ს ე ბ ა

I კატეგორია: შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.4 პედაგოგიური სტაჟი

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.5 სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის) წარმოდგენილია:
დიახ ☐ არა ☐

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

შესაბამისობა ვაკანსიას	**არ შესაბამისობა ვაკანსიას**
☐	☐

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1. პედაგოგიური გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.2. სასწავლო–მეთოდური საქმიანობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვაშეუძლია კონკურსანტს:

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებია:

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

ბ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის ბსუ–ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი **არ არის:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) **შეიძლება კურსად განხილულ იქნეს:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდებობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

2.5. წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **სრულად შეესაბამება** ბსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **ნაწილობრივ შეესაბამება** ბსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება ბსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

2.6. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	**საშუალო**	**დაბალი**

III კატეგორია: სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაცია/პუბლიკაციები	
3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	
3.3. პატენტები (გამოგონებები)	
3.4. მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.5.მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.8. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებულინაშრომი:

3.9. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[3]:

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას			
ხელს შეუწყობს ბსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1.*(ჯილდო, სტიპენდია, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისმხელმძღვანელობა, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.)*

4.2. კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის მიმართულებისათვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა (შესაბამისი ფართი და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო აქტივობა)

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**

[3]სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ -პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება; ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა			

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	**მაღალი** ☐	**საშუალო** ☐	**დაბალი** ☐
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას			
ხელს შეუწყობს ბსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

შედეგების შეჯამება

გადაწყვეტილება: ----------

კომისიის წევრების ხელმოწერა **თარიღი**